საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

11/11/2025

MES 3 25 0001589369

გადაწყვეტილება

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 ივლისის №897582 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შეფასება.

2.2. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და 1.1 კომპონენტში მოცემული რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, პირველი მიზანი შეიცვალოს შემდეგნაირად: კურსდამთავრებულებს მიეცეთ ფართო და თანმიმდევრული საფუძველი ინფორმატიკის ძირითად სფეროებში, რაც საშუალებას მისცემს მათ გაიაზრონ და
გაუმკლავდნენ სფეროში არსებულ რთულ ცნებებსა და გამოწვევებს" - გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:

"სასურველია, პირველი მიზანი შეიცვალოს შემდეგნაირად: კურსდამთავრებულებს მიეცეთ ფართო და თანმიმდევრული საფუძველი ინფორმატიკის ძირითად სფეროებში, რაც საშუალებას მისცემს მათ გაიაზრონ და
გაუმკლავდნენ სფეროში არსებულ რთულ ცნებებსა და გამოწვევებს."

შესაბამისად, 1.1 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთან".

ასევე, 1.2 კომპონენტში მოცემული რეკომენდაცია საბჭომ ამოიღო, შესაბამისად, 1.2 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთან". აღნიშნულიდან გამომდინარე, 1 სტანდარტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთან".

გარდა ამისა, 4.1 კომპონენტში გაცემული შემდეგი რეკომენდაცია ამოიღო - "რეკომენდებულია პრიორიტეტი მიენიჭოს დამატებით აკადემიურ პოზიციებზე, როგორიცაა ასისტენტ-პროფესორი და/ან ასისტენტი, ვაკანსიების გამოცხადებას, რათა ფაკულტეტზე მოხდეს ახალგაზრდა თაობის აკადემიური პერსონალის მოზიდვა".

ხოლო რეკომენდაცვია - "რეკომენდებულია პროგრამაში გარე პერსონალის — მოქმედი პრაქტიკოსებისა და ახალგაზრდა პროფესიონალების — ჩართვა, რაც გააძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან" - შეცვალა შემდეგი ფორმულირებით: "სასურველია პროგრამაში გარე პერსონალის — მოქმედი პრაქტიკოსებისა და ახალგაზრდა პროფესიონალების — ჩართვა, რაც გააძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან" და გადაიტანა რჩევაში.

შესაბამისად, 4.1 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთან". აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-4 სტანდარტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 11 ნოემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა"ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 11 ნოემბრის №1589321 ოქმის №3 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1.3 კომპონენტი

რეკომენდებულია, პროგრამის თითეული სწავლის შედეგისთვის განცალკევებულად შეფასდეს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები; თითოეული მეთოდის ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალურად განისაზღვროს მიღწევის დონე თითოეული შედეგისთვის; ხოლო არაპირდაპირი შეფასება გამოყენებული იყოს მხოლოდ კონტექსტის გასაგებად და გაუმჯობესების გზების დასადგენად — და არა პირდაპირი შეფასების შედეგების გადასაფარად.

4.4 კომპონენტი

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა იზრუნოს ბიბლიოთეკის ბეჭდური ფონდის განახლებაზე.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 11 ნოემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული

გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე